თბილისის საქალაქო სასამართლოს

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლეს

ბატონ თ. უ.-ს

დ. ვ.-ის სარჩელთან დაკავშირებით

სასამართლო მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრება

წარმოდგენილია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21–ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის, ასევე “დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ” საქართველოს კანონის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად

ბატონო თ.,

2015 წლის 2 თებერვალს, საქართველოს სახალხო დამცველს მომართა ააიპ „საქართველოს რკინიგზელთა ახალმა პროფესიულმა კავშირმა“ და სთხოვა სახალხო დამცველს სასამართლოს მეგობრის სტატუსით ჩართვა ზემოთმითითებულ სამოქალაქო საქმეში.

წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა, რომ დ. ვ. არის რკინიგზელთა ახალი პროფესიული კავშირის ერთ-ერთი დამფუძნებელი და გამგეობის წევრი, ასევე დასავლეთ საქართველოს სამტრედიის ოფისის თავმჯდომარის მოადგილე. იგი 1991 წლიდან მუშაობდა სს „საქართველოს რკინიგზაში“, სადგურ კოპიტნარის სადგურის მორიგედ.

სარჩელში ასევე მითითებულია, რომ 2013 წელს ხელმძღვანელობამ დ. ვ. დააწინაურა რის შემდეგაც მოსთხოვა პროფესიულ კავშირში აქტივობის შეწყვეტა და სს „საქართველოს რკინიგზის“ ადმინისტრაციის მხარდაჭერა, რადგან სწორედ

მათ უზრუნველჰყვეს მისი დაწინაურება და გარკვეული უპირატესობა მიანიჭეს. 2014 წლის ოქტომბერში, გაფიცვამდე, მას შემდეგ რაც რკინიგზელთა ახალმა პროფკავშირებმა სს „საქართველოს რკინიგზასთან“ შრომითი დავა წამოიწყო, დ. ვ. აღნიშნავს, რომ იგი დაიბარეს რკინიგზაში, კერძოდ, სატვირთო გადაზიდვების დირექტორთან, რომელმაც ვ. კატეგორიულად მოსთხოვა დაეტოვებინა რკინიგზალთა ახალი პროფკავშირების რიგები და გადასულიყო საქართველოს რკინიგზის მიერ მართულ მე-2 პროფკავშირში. დაემუქრა, რომ თუ ასე არ მოიქცეოდა საერთოდ გააუქმებინებდა იმ თანამდებობას, რაზეც ვ. მუშაობდა. მოსარჩელემ უარი განაცხადა და 3 დღის შემდეგ მიიღო ბრძანება სადგურ ჩაქვში გადაყვანის შესახებ, ხოლო ის შტატი რაზეც მუშაობდა გააუქმეს.
მოსარჩელე მიუთითებს, რომ სადგური ჩაქვი მისი საცხოვრებელი ადგილიდან დაახლოებით 150 კმ-ით არის მოშორებული, ამას გარდა, მას შეუმცირეს ხელფასი 1000 ლარიდან 750 ლარამდე. შრომითი პირობების არსებითი ცვლილების გამო დ. ვ. არ ცხადდებოდა სადგურ ჩაქვში და სთხოვდა სს „საქართველოს რკინიგზას“ აეხსნათ გადაყვანის მიზეზები. სწორედ სადგურ ჩაქვში გამოუცხადებლობა დაედო საფუძვლად დ. ვ.-ის სამსახურიდან გათავისუფლებას.

გამომდინარე იქიდან, რომ მსგავს საქმეებზე სასამართლოს მიერ გაკეთებულ განმარტებებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებაში, სახალხო დამცველმა გადაწყვიტა, რომ საქმის განმხილველ სასამართლოს წარუდგინოს სასამართლოს მეგობრის მოსაზრება (Amicus Curiae).

სასამართლო მეგობრის მოსაზრება მიზნად არ ისახავს რომელიმე მხარის პოზიციის მხარდაჭერას და იგი მხოლოდ და მხოლოდ ახდენს იმ სტანდარტის იდენტიფიცირებას, რომელიც დადგენილია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკით მსგავს საქმეებზე.

1. სასამართლო მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრებით მომართვის უფლებამოსილება

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-14[1] მუხლის და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მიხედვით:

„დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და თანასწორობის უზრუნველყოფაზე ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს სახალხო დამცველი“

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ე“ პუნქტის თანახმად:
„საქართველოს სახალხო დამცველი უფლებამოსილია ცალკეულ შემთხვევებში შეასრულოს სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) ფუნქცია საერთო სასამართლოებსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში."

2. პროფესიული კავშირებისადმი კუთვნილების გამო დისკრიმინაციის საკითხი სარჩელში მოყვანილი ფაქტობრივი გარემოებების ფონზე

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის შესაბამისად, ამ კანონის მიზანია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა.

იმავე კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად პირდაპირი დისკრიმინაცია არის ისეთი მოპყრობა ან პირობების შექმნა, რომელიც პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით სარგებლობისას ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მოპყრობა ან პირობების შექმნა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად.

იმავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ირიბი დისკრიმინაცია არის ისეთი მდგომარეობა, როდესაც ფორმით ნეიტრალური და არსით დისკრიმინაციული დებულება, კრიტერიუმი ან პრაქტიკა პირს ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მოპყრობა ან პირობების შექმნა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად.

აღნიშნული მუხლების შინაარსიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ დისკრიმინაცია სახეზეა, როდესაც პირს ხელი ეშლება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობისას, არსებობს განსხვავებული მოპყრობა ანალოგიურ პირობებში

მყოფი პირების მიმართ, არ არსებობს კანონით განსაზღვრული მიზანი, განსხვავებულ მოპყრობას არ აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და იგი დასახული მიზნის არათანაზომიერია. იგივე პრინციპი გამომდინარეობს ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრეცედენტული სამართლიდანაც. იმისათვის, რომ საკითხი მოექცეს კონვენციის მე-14 მუხლის რეგულირების ქვეშ, აუცილებელია, რომ განსხვავებული მოპყრობა არსებობდეს ანალოგიურ ან მსგავს სიტუაციაში მყოფი პირების მიმართ. განსხვავებული მოპყრობა დისკრიმინაციულია თუ მას არ აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება, ე.ი. არ ისახავს კანონიერ მიზანს და არ არსებობს პროპორციულობის გონივრული კავშირი გამოყენებულ საშუალებებსა და დასახულ მიზანს შორის.[1]

კანონით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ყველას აქვს პროფესიული კავშირების შექმნისა და მათში გაერთიანების უფლება. გარდა კონსტიტუციით გაწერილი გარანტიებისა, პროფესიული კავშირების ჩამოყალიბებისა და გაწევრიანების გამო დისკრიმინაციის დაუშვებლობა უზრუნველყოფილია საქართველოს შრომის კანონმდებლობით. საქართველოს შრომის კოდექსის მე-40[2] მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, აკრძალულია დასაქმებულის დისკრიმინაცია დასაქმებულთა გაერთიანებაში მისი წევრობის ან ასეთ გაერთიანებაში მონაწილეობის გამო ან/სხვა ქმედება, რომლის მიზანია დასაქმებულთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა ან მისი სხვაგვარად შევიწროვება დასაქმებულთან გაერთიანების წევრობის ან ასეთი გაერთიანების საქმიანობაში მონაწილეობის გამო.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის „ასოციაციის თავისუფლებისა და ორგანიზაციის დაცვის შესახებ“ 87-ე კონვენციის რატიფიცირებით, საქართველომ აიღო ვალდებულება განახორციელოს ყველა სათანადო და აუცილებელი ზომა, რათა გარანტირებულ იყოს ასოციაციის თავისუფლება და ორგანიზაციის უფლებები. აღნიშნული კონვენციის მე-2 მუხლი იცავს დასაქმებულთა უფლებას წინასწარი ნებართვის გარეშე შექმნას და გაწევრიანდეს პროფესიულ კავშირებში.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ყველას აქვს უფლება პროფესიული კავშირების შექმნისა და მასში გაერთიანებისა საკუთარი ინტერესების დასაცავად.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დასაქმებული პირი თავისუფალია აირჩიოს პროფკავშირის წევრობა ან უარი თქვას მასზე და ამის გამო დაუშვებელია მის მიმართ გამოყენებულ იქნას რაიმე სახის სანქცია.[2] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს

[1] Eweida and others v. United Kingdom, application nos: 48420/10, 59842/10, 51671/10 and 36516/10, 15/01/2013, §§ 87-88; Burden v. United Kingdom, application no: 13378/05, 29/04/2008, § 60;

[2] Associated Society of Locomotive Engineers and Firemen (ASLEF) v United Kingdom, application no.: 11002/05,

განმარტებით, პროფესიული კავშირის თავისუფლება არის გაერთიანების თავისუფლების განსაკუთრებული ასპექტი,[3] რომელიც იცავს პროფკავშირის წევრთა თავისუფლებას კოლექტიურად დაიცვან კავშირის წევრთა სამსახურეობრივი ინტერესი.[4]
ევროპულმა სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ მე-11 მუხლით დაცული სფერო ასევე მოიცავს პროფკავშირის წევრობის გამო დისკრიმინაციისგან დაცვასაც, რადგან ის წარმოადგენს გაერთიანების თავისუფლების ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ დარღვევას, რომელსაც შეუძლია პროფესიული კავშირის არსებობაზე ნეგატიური გავლენა იქონიოს.[5]

ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე, პროფესიული კავშირების საქმიანობა, მათ შორის კავშირში გაწევრიანების ან მისი დატოვების უფლება, გაერთიანების თავისუფლების შემადგენელი ნაწილია და შესაბამისად კანონით დაცული უფლებაა.

იმის დასადგენად, ჰქონდა თუ არა ადგილი დისკრიმინაციას, ასევე უნდა განისაზღვროს მოხდა თუ არა, განსხვავებული მოპყრობა მსგავს სიტუაციაში მყოფ პირებთან შედარებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363[3]-ე მუხლი მტკიცების ტვირთს ანაწილებს და მოპასუხეს აკისრებს იმის მტკიცებას, რომ დისკრიმინაცია არ განხორციელებულა. შესაბამისად, სასამართლომ უნდა დაავალოს სს „საქართველოს რკინიგზას“ ამტკიცოს, რომ მოსარჩელის გათავისუფლება არის კანონიერი და რომ მას მოსარჩელის პროფესიული კავშირის წევრობა არ ედო საფუძვლად.

განსახილველ შემთხვევაში, მსგავს სიტუაციაში იმყოფება ყველა ის პირი, ვინც დასაქმებული არის სს „საქართველოს რკინიგზაში“ და მოსარჩელისაგან განსხვავებით არ არიან რკინიგზელთა ახალი პროფკავშირების წევრები და არ მომხდარა მათი საქმიანობის რაიმე გზით ხელშეშლა ან/და განთავისუფლება.

თუ დადასტურდება ის ფაქტი, რომ მოსარჩელის გათავისუფლებას სწორედ მისი პროფესიული კავშირის წევრობა დაედო საფუძვლად ადგილი ექნება მის მიმართ განსხვავებულ მოპყრობას.

აღნიშნული განსხვავებული მოპყრობა კი, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაითვლება კანონიერად თუ არსებობს კანონით განსაზღვრული მიზანი, მას აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და იგი დასახული მიზნის თანაზომიერია.

27/02/2007, § 39;

[3] National Union of Belgian Police v. Belgium, application no. 4464/70, 27/10/1975, § 38; Swedish Engine Drivers' Union v. Sweden, application no. 5614/72, 6/02/1976, § 39; Danilenkov and Others v. Russia, application no. 67336/01, 10/12/2009, § 121;

[4] National Union of Belgian Police v. Belgium, application no. 4464/70, 27/10/1975, § 39; Swedish Engine Drivers' Union, § 40; Schmidt and Dahlström v. Sweden, application no. 5589/72, 6/02/1976, § 36; Demir And Baykara v. Turkey, application

no. 34503/97, §
140;
5 Danilenkov v Russia, application no.: 67336/01, 30/07/2009, §123;

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით თანასწორობის იდეა ემსახურება შესაძლებლობების თანასწორობის უზრუნველყოფას, ანუ ამა თუ იმ სფეროში ადამიანების თვითრეალიზაციისთვის ერთნაირი შესაძლებლობების გარანტირებას.[6] არ უნდა მოხდეს არსებითად თანასწორის განხილვა უთანასწოროდ და პირიქით.[7]
თანაბარი მოპყრობის პრინციპი ირღვევა, თუ პირებს შორის განსხვავება ობიექტურად არ არის

გამართლებული. გამართლება უნდა შეფასდეს იმის მიხედვით, თუ რამდენადაა ის დაკავშირებული მიზანთან, დემოკრატიული საზოგადოების არსებობის პრინციპთან და არის თუ არა პროპორციული.[8] სასამართლომ უნდა შეაფასოს გამოყენებული საშუალებები რამდენად არის კონვენციასთან თანხმობაში.[9]
საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, პროფესიული კავშირების ფორმირების პროცესის წარმართვა და რეგულირება არსებთად შიდაპროფკავშირული (თვით პროფკავშირების) საქმეა.[10] ამ განმარტებით, სასამართლომ ხაზი გაუსვა ამ ინსტიტუტის ავტონომიურობას და მნიშვნელობას. სწორედ ეს სტანდარტი უნდა აიღოს სასამართლომ სახელმძღვანელოდ როდესაც პროპორციულობის საკითხს შეაფასებს, რადგან ამ უფლების შეზღუდვას ძალიან მნიშვნელოვანი მიზნის მიღწევა უნდა ედოს საფუძვლად.

მტიკიცების ტვირთის გადანაწილების საკითხიდან გამომდინარე, განსახილველ შემთხვევაში, სასამართლომ მოპასუხეს უნდა დააკისროს მტკიცების ტვირთი, რომ იგი კანონიერი მიზნის მისაღწევად მოქმედებდა და, რომ მის მიერ მოსარჩელის მიმართ განხორციელებული ქმედებები განპირობებული იყო არა პროფესიული კავშირის წევრობით, არამედ სხვა გარემოებებით, რაც თავად სს „საქართველოს რკინიგზამ“ უნდა დაასაბუთოს. მოპასუხემ უნდა ამტკიცოს, თუ რა ობიექტური და გონივრული გამართლება ჰქონდა იმ შტატის გაუქმებას, რომელზეც მოსარჩელე მუშაობდა.

ევროპული სასამართლოს განმარტებით, დასაქმებულ პირს ან მუშაკს თავისუფლად უნდა შეეძლოს გაწევრიანდეს ან არ გაწევრიანდეს პროფკავშირში სანქციებისა თუ ხელის შეშლის გარეშე.[11]

[6] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება #1/1/493 საქმეზე მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები; „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 1;

[7] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 31 მარტის გადაწყვეტილება #2/1-392; 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება #1/1/493 საქმეზე მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები: „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 2; 2011 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილება #1/1/477 საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 69;

[8] National Union of Belgian Police v. Belgium, application no. 4464/70, 27/10/1975, § 46;

[9] National Union of Belgian Police v. Belgium, application no. 4464/70, 27/10/1975, § 47;

[10] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1998 წლის 15 ივლისის № 1/6-58, 60, 62, 67 გადაწყვეტილება საქმეზე ირაკლი ტუღუში, ლონდა სიხარულიძე და სხვები საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ;

[11] Associated Society of Locomotive Engineers and Firemen (ASLEF) v. the United Kingdom, , application no. 11002/05,

პროფესიული კავშირების მიერ გაფიცვის უფლების გამოყენება არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საშუალება, რომლითაც ხდება პროფესიული კავშირის წევრთა ინტერესების დაცვა, აღნიშნული უფლების რეალიზების უზრუნველყოფა კი სახელმწიფოს პრეროგატივას წარმოადგენს.[12] დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონის მე-2 მუხლის მიხედვით, არათანაბარი მოპყრობა ან პირობების შექმნა არ ჩაითვლება დისკრიმინაციად თუ ის ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს.

ევროპულმა სასამართლომ, სხვადასხვა უფლებებთან მიმართებაში, არაერთგზის მიიჩნია გაუმართლებლად, საზოგადოების ზნეობრივი ნორმების თუ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით განხოციელებული შეზღუდვა თუ განსხვავებული მოპყრობა.

მაგალითად, საქმეში დანილენკოვი რუსეთის წინააღმდეგ, მომჩივნები სამსახურიდან დაითხოვეს პროფკავშირების წევრობის გამო. ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ სახელმწიფოებს მოეთხოვებათ, კონვენციით გარანტირებული შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების უზრუნველყოფითა და დისკრიმინაციის აკრძალვით, შექმნან იმგვარი სასამართლო სისტემა, რომელიც იქნება პროფკავშირების დისკრიმინაციისაგან დაცვის რეალური და ქმედითი საშუალება.[13] სასამართლომ მიიჩნია, რომ სახელმწიფომ ვერ შეასრულა მისი პოზიტიური ვალდებულება განეხორციელებინა ქმედითი სამართლებრივი დაცვა დისკრიმინაციისაგან პროფკავშირების წევრობის საფუძველზე.[14]

ერთ-ერთ საქმეში, სასამართლომ დაადგინა კონცენციის მე-11 მუხლით გათვალისწინებული შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლებაში ჩარევა, როდესაც საჯარო მოხელე აიძულეს გადასულიყო სხვა თანამდებობაზე მისი პროფკავშირში მოღვაწეობის გამო.[15] სასამართლომ განმარტა, რომ კონვენციის 11 მუხლი დაირღვა, როდესაც საჯარო მოხელეების პროფკავშირის, რამდენიმე წევრის მიმართ გამოიყენეს დისციპლინური პასუხისმგებლობა გაფიცვაში მონაწილეობის გამო.[16]

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ როდესაც პროფესიული კავშირის წევრობა წარმოადგეს მიზეზს იმისა, რომ დასაქმებული გადაყავთ სხვა თანამდებობაზე ადგილი აქვს კონვენციის მე-11 მუხლით გარანტირებული უფლების დარღვევას.[17] სახელწიფო

27/05/2007, § 39; Danilenkov and Others v. Russia, application no. 67336/01, 10/12/2009, § 123;

[12] Wilson, National Union of Journalists and others v United Kingdom, application no's.: 30668/96, 30671/96, 30678/96, 02/07/2002, §45;

[13] Danilenkov and others v. Russia application no 67336/01 § 124;

[14] Danilenkov and others v. Russia application no 67336/01 § 136;

[15] Metin Turan v. Turkey application no 20868/02 ;

[16] Enerji yapi-yol sen v. Turkey application no 68959/01;

ვალდებულია, რომ უზრუნველყოს პროფესიული კავშირისა და მისი წევრების ქმედითი და ნათელი სამართლებრივი დაცვა დისკრიმინაციისგან.[18]

გამომდინარე იქიდან, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა სავალდებულო ძალის მატარებელია საქართველოს სახელმწიფოსთვის, სასამართლომ სამართალშეფარდება უნდა განახორციელოს ზემოაღნიშნული პრინციპებისა და სამართალწარმოების პრაქტიკით დადგენილი რეგულაციების დაცვით, რათა უზრუნველყოფილ იქნას დისკრიმინაციის გარეშე პროფესიულ კავშირში გაერთიანების თავისუფლების რეალიზება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვხელმძღვანელობ რა „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21–ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის, ასევე “დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ” საქართველოს კანონის მე-6 მუხლის 1- ლი პუნქტით, მიზანშეწონილად მიმაჩნია, მოგმართოთ სასამართლო მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრებით. აქვე გაცნობებთ, რომ გამოვთქვამთ მზადყოფნას საქმის არსებით განხილვაზე ზეპირი განმარტების მისაცემად.

[17] Metin Turan v Turkey, application no.: 20868/02, 14/11/2006, § 30-31;

[18] Danilenkov v Russia, application no.: 67336/01, 30/07/2009, §§ 125, 136;